საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №92/17

-- -- 2017 წლის 01 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 31 მაისის №92/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი -- -- აღნიშნავს, რომ 2017 წლის 15 მარტს, საქმის ზეპირი განხილვის დროს, მოპასუხის მხრიდან წარმოდგენილი იყო აშკარად ყალბი დოკუმენტი - სამართალდარღვევის აქტი თანდართული ფოტომასალით. აღნიშნული აქტის მიხედვით, ოქმი შედგენილი იყო 2016

წლის აგვისტოს თვეში, ფოტომასალა კი ასახავდა 2016 წლის ნოემბრის თვეს, რადგან მასში ჩანდა მისი მარწმუნებლის - -- -- 2016 წლის ოქტომბერში შეძენილი ავტომანქანა. საჩივრის ავტორის თქმით, სასამართლოს წარუდგინეს სადღეღამისო სათვალთვალო კამერებიდან ამოღებული ფოტო, რომელიც ზუსტად ასახავდა მოპასუხის წარმოდგენილ ფოტოს.

საჩივრის ავტორის თქმით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე, მოსამართლის წინაშე დააყენეს შუამდგომლობა ზემოაღნიშნული მასალების საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემაზე, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა შემდგომ სხდომაზე, მოსამართლე -- -- უარყო აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მათზე გადმოცემულ სხდომის ოქმების ელექტრონულ ვერსიებში ყველაფერი ასახული იყო, გარდა 2017 წლის 15 მარტის ოქმისა. ამის გამო მიაკითხეს სხდომის მდივანს, რომელმაც გაყალბებული ოქმი ამოიღო მე-2 სხდომის დარბაზიდან, მაშინ როდესაც, 2016 წლის 15 აგვისტოს სხდომა ჩატარდა მე-3 დარბაზში. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ეს ოქმი არ არის ჩაწერილი ხელმისაწვდომი რეჟიმით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს ,,-- --“-ს დირექტორმა -- -- 2016 წლის 09 დეკემბერს სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმება. აღნიშნულ სარჩელზე ხარვეზის დადგენის შემდეგ 10/12/2016, -- -- 2016 წლის 19 დეკემბერს წარადგინა დაზუსტებული სარჩელი. შპს ,,-- --“-ს დირექტორი -- -- ასაჩივრებდა სიღნაღის მუნიცპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის წერილობით მითითებას №--, სიღნაღის მუნიცპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აგვისტოს ბრძანებას №-- და 2016 წლის 15 აგვისტოს №-- სააღსრულებო ფურცელს.

2016 წლის 15 აგვისტოს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №-- შპს ,,-- --“-ს მიმართ, რის საფუძველზეც, სიღნაღის მუნიცპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აგვისტოს №-- დადგენილებით, უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებისთვის, შპს ,,-- --“ დაჯარიმდა 2000 ლარის ოდენობით.

2017 წლის 22 თებერვალს გამართულ სხდომაზე, შპს ,,-- --“-ს წარმომადგენელმა -- -- -- სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სამართალდარღვევის ოქმის გამოთხოვის თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა მოსამართლის მიერ.

2017 წლის 15 მარტს გამართულ სასამართლო მორიგ სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენელმა -- -- იშუამდგომლა მტკიცებულების სახით ფოტოსურათების საქმეზე დართვა და მისი თქმით, გაყალბებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №-- ოქმის

საგამოძიებო უწყებაში გადაგზავნა.

მოსამართლე -- -- აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, მოსარჩელის წარმოდგენილი ფოტოსურათი დაურთო საქმეს მტკიცებულებად, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საგამოძიებო უწყებაში გადაგზავნის თაობაზე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რაც დასტურდება 2017 წლის 15 მარტის სხდომის აუდიო ოქმით, წერილობითი ოქმით და სხდომის ამსახველი ვიდეო მასალით.

2017 წლის 15 მარტის სასამართლო სხდომის ოქმის ამონაწერის თანახმად, ტექნიკური (პროგრამული) ხარვეზის გამო ოქმი დაფიქსირებული იყო მხოლოდ აუდიოჩანაწერის სახით, აღწერილობის (ელექტრონული ჟურნალის) გარეშე. ოქმი აგრეთვე შედგენილი იყო წერილობითი სახით.

2017 წლის 10 აპრილის სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენლმა -- -- ახსენა დოკუმენტები, რომლებიც მისი თქმით, სასამართლომ პოლიციაში გადააგზავნა, რაც უარყო მოსამართლე -- -- და მხარეს განუმარტა, რომ წინა სხდომაზე შუამდგომლობა დოკუმენტების საგამოძიებო ორგანოში გადაგზავნაზე მას არ დაუკმაყოფილებია.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 02 მაისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე შპს ,,-- --“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი განცხადება მას შეუძლია გააკეთოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ დადასტურებულია წარდგენილი საბუთის სიყალბე, სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და ამ დოკუმენტს მისი სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულებებით გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს თითოეული სხდომის ან სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების ტექნიკური საშუალებით ჩაწერა შეუძლებელია, დგება ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) სასამართლო სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

ბ) სასამართლო სხდომის დაწყებისა და დამთავრების დრო;

გ) საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;

დ) საქმის დასახელება;

ე) ცნობები მხარეების წარმომადგენელთა, მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა გამოცხადების შესახებ;

ვ) ცნობები მხარეებისა და მათ წარმომადგენლებისათვის მათი საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განმარტების შესახებ;

ზ) სასამართლოს განკარგულებანი და სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოტანილი განჩინებანი;

თ) მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებანი;

ი) მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტების მიერ თავიანთი დასკვნების განმარტებები, ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებათა დათვალიერების მონაცემები;

კ) მხარეთა პაექრობის შინაარსი;

ლ) ცნობები გადაწყვეტილებისა და განჩინების გამოცხადების შესახებ;

მ) ცნობები გადაწყვეტილების შინაარსის, მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ.

2017 წლის 15 მარტის სხდომის ოქმის თანახმად, ტექნიკური (პროგრამული) ხარვეზის გამო ოქმი დაფიქსირდა მხოლოდ აუდიო ჩანაწერის სახით, აღწერილობის (ელექტრონული ჟურნალის) გარეშე, წერილობითი სახით, ამასთან საქმის მასალებში წარმოდგენილია აღნიშნული სხდომის ამსახველი სრული აუდიო და ვიდეო ვერსია, რითაც ხელმისაწვდომია პროცესის მიმდინარეობის მოსმენა ხარვეზების გარეშე, რაც ოქმის გაყალბებაზე რაიმე სახის ეჭვის საფუძველს არ იძლევა. აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმების მიხედვით, მოსამართლე -- -- მიერ 2017 წლის 15

მარტს ნამდვილად იყო განხილული მხარის შუამდგომლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე მოსამართლე -- -- მხარეს დამატებით განუმარტა მომდევნო სხდომაზეც (10/04/2017).

ამდენად, საქმეში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, №-- საჩივარში მითითებული ფაქტები არ დადასტურებულა, შესაბამისად, მოსამართლე -- -- მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით განსაზღვრულ რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.
საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №92/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი